

ტერმინოლოგია და სახელმწიფოებრივი აზროვნება

ჩვენს მოხსენებაში დღეს წარმოდგენილი საკითხები უკვე რამდენიმე წელია, სხვადასხვა სახით გამოგვაქვს სამსჯელოდ საზოგადოების წინაშე. დღევანდელი მოხსენება საანგარიშო ხასიათისაა და შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან და საჭირობო საკითხს ტერმინოლოგიაში, მისი მართვის, ტერმინების ენაში დამკვიდრების გზებს.

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ ერთი სირთულე ტერმინოლოგიისა არის მისი შექმნა, მეორე და უმთავრესი კი - მისი დანერგვა-დამკვიდრება.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ორი რამ:

1. ჩვენივე ქვეყნის გამოცდილება, ისტორია;
2. თანამედროვე ევროპის გამოცდილება.

ვფიქრობთ, საკმაოდ არ უნდა იყოს ის, რომ ტერმინთშემოქმედება უმთავრესი რამ არის ენის არსებობისათვის, მისი მომავლისათვის, სწორი ტერმინთშემოქმედება კი ყოველთვის სამეცნიერო წრეებზეა დამოკიდებული. ქართული ტერმინოლოგიის ისტორიას თვალს თუ გავადევნებთ, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ყოველთვის არსებობდა კერძო და საზოგადო ტერმინთშემოქმედება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული თუ სხვა ქვეყნის ტერმინთშემოქმედება ისტორიის განმავლობაში ყოფილა **უმართავი და მართული**.

მათ შორის არსებითი განსხვავებაა: პირველი, ანუ **უმართავი**, კერძო ხასიათის ტერმინთშემოქმედება მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა, **მართული**, ანუ საზოგადო ტერმინთშემოქმედება კი – ენის განვითარების საფუძველი. საზოგადო ტერმინთშემოქმედება, როგორც ისტორია ცხადყოფს, უშუალოდაა დაკავშირებული სახელმწიფოებრივ აზროვნებასთან, მხოლოდ მას შეუძლია ენაზე ზემოქმედება, მასში ძირეული ცვლილებების შეტანა. სწორი ტერმინთშემოქმედება სახელმწიფოებრივ მიდგომას საჭიროებს.

განსხვავებული ხასიათისა, თუმცა შედეგის მომტანი მართული ტერმინთშემოქმედება, რომელმაც ჩამოაყალიბა და საგრძნობლად განავითარა ქართული სამეცნიერო ენა, ჩვენი აზრით, სულ ოთხჯერ იყო სხვადასხვა ეპოქაში.

1. X-XII საუკუნეებში;
2. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობისას;
3. ე. წ. ნიკოლაძეებისა (1918-1921);
4. საბჭოთა პერიოდისა.

თანამედროვე ქართული ენის მიმღე მდგომარეობას ბევრი აღიარებს, თუმცა საზოგადოების ნაწილი ამას, გარკვეულწილად, შეეგუა, რადგან

1. მიიჩნევენ, რომ ენის გადაგვარება გლობალიზაციით გამოწვეული გარდაუვალი პროცესია;
2. ან ბუნებრივად მიიჩნევენ ცნობილი გამონათქვამით „ენა ცოცხალი ორგანიზმია“.

დაახლოებით ათი წლის წინ მეც თითქმის ასე ვფიქრობდი, მაგრამ გარკვეული საკითხების შესწავლამ სხვა დასკვნები გამაკეთებინა:

- გლობალიზაცია

გლობალიზაცია, მოგეხსენებათ, არ არის მხოლოდ თანამედროვე პრობლემა. იყო თუ არა სირთულე ძველი ქართველი მთარგმნელებისათვის ქრისტიანული ლიტერატურის

ქართულად გადმოღება, რა თქმა უნდა, იყო. როცა თანამედროვე გლობალიზაციაზე ვსაუბრობთ და ამის გამო თითქოს ადვილად ვეგუებით ქართული ენის რღვევას, აუცილებლად უნდა გვახსოვდეს ძველი ეპოქის გლობალიზაციის მოვლენები: ქრისტიანობის გავრცელება, საერთო კულტურა, ლიტერატურა.

უდიდესი კულტურისა და გავლენის მქონე ბიზანტიის მეზობლად მდებარე საქართველომ ეს კულტურა ისე შეითვისა, ეროვნული თვითმყოფადობა არასოდეს დავიწყებია. ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება კი უპირველესად ენის დაცვას გულისხმობდა. სახარების ქართულად თარგმნა, საღვთო ლიტურგია გამართულ საღვთიმეტყველო ტერმინოლოგიას მოითხოვდა.

X-XII საუკუნეებში უკვე ჩამოყალიბდა ქართული მთარგმნელობითი სკოლა, რომელსაც მხოლოდ ერთი გამოკვეთილი სათქმელი ჰქონდა: **არ არსებობს ქვეყნად სიახლე, რომლის გადმოღებას და გამოხატვას ქართული ენა ვერ შეძლებს.** დღეს, როცა კომპიუტერის ქართულად თარგმნა შეუძლებლად და ჩამორჩენილობად მიაჩნია მავანთ, იქნებ შევახსენოთ უმნიშვნელოვანესი ცნება ევანგელე, რომელიც ქართულად სახარებით დამკვიდრდა. იმასაც დავუმატებ, რომ ასეთი მიდგომა (გგულისხმობ ეროვნულს) დღეს ევროპაში ძალიან მიღებულია. სიტყვა კომპიუტერი არ გამოუცხადებიათ ე.წ. საერთაშორისო სიტყვად შვედებს, ფრანგებს, ბერძნებს. ასე რომ, შევაჯამოთ: **ე.წ. გლობალიზაცია არ არის საშიში, როცა არსებობს სამეცნიერო საზოგადოება.**

- **„ენა ცოცხალი ორგანიზმია“**

ტერმინოლოგიასა თუ, ზოგადად, ენის პრობლემებზე საუბრისას ხშირად ამბობენ: „ენა ცოცხალი ორგანიზმია“, ანუ ის თავისთავად ვითარდება და ენობრივი ნორმების დაწესება თუ ხელოვნური ტერმინების შექმნა საჭირო არ არის. აქაც ისტორია გავიხსენოთ და გავანალიზოთ. რატომ არის ქართულში ამდენი აღმოსავლური სიტყვა? მათ ჩვენ ნასესხებ ლექსიკას ვუწოდებთ და ეს ხშირად გამხდარა გარკვეული ქილიკის საფუძველი, ქართველებს ქართული სიტყვები არა აქვთო. მე კი განსხვავებულად ვასწავლი ჩემს სტუდენტებს: ეს ის დროა, საკუთარი თვითმყოფადობის (და არა იდენტობის, ახლა რომ უწოდებენ) გადასარჩენად რამდენიმესაუკუნოვან ბრძოლაში ჩართულ ქართველ ხალხს, სამწუხაროდ, ენისთვის არ ეცალა. შეწყდა ტერმინთშემოქმედებაც და ქართული ენის ძირძველი ლექსიკა აღმოსავლურმა სიტყვებმა ჩაანაცვლა. მაშასადამე, სამეცნიერო წრეების ყურადღების მიღმა დარჩენილ ენაში შემოიჭრა უცხო ლექსიკა და დაიმკვიდრა ადგილი. ესეც ნიმუში იმისა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მიღებულ ჭეშმარიტებას „ენა ცოცხალი ორგანიზმია“.

უმნიშვნელოვანესია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, რომლითაც ავტორმა თანამემამულეებისათვის დავიწყებული ქართული სიტყვების შეხსენება სცადა, მაგრამ, სამწუხაროდ, სულხან-საბა ორბელიანის მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. ქართულ ენაში შემოჭრილ (და არა ნასესხებ) სიტყვებს უკვე საკმაოდ ჰქონდა (და დღემდე აქვს) ფეხი მოკიდებული.

რატომ ვერ შეცვალა ქართული ენის მდგომარეობა სულხან-საბა ორბელიანის შესანიშნავმა და ქართველი ერისთვის უმნიშვნელოვანესი ღირებულების ლექსიკონმა? პასუხი ერთია: საბა მარტო აღმოჩნდა. მას არ ჰქონდა არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების მხარდაჭერა.

ქართული სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა ილია ჭავჭავაძის დროს. როგორ მოახერხეს დაპყრობილ საქართველოში ქართული ტერმინთშემოქმედების განვითარება, ქართული ენის გადარჩენა? პასუხი აქაც იგივეა: **ენა გადარჩება იქ, სადაც ეროვნული საზოგადოება არსებობს**. ილია ჭავჭავაძემ შეძლო ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის მართვა, საზოგადოების ჩართვა ამ მოვლენებში. ქართველმა საზოგადოებამ ილიას თაოსნობით შეძლო ქართული ენის პრობლემების საზოგადო საქმედ აქცია. სწორედ ამ ერთობამ დაამარცხა რუსული ენის იერიში და რუსულ სიტყვებს ბარბარიზმი ეწოდა. ეს ქართველი საზოგადოების უდიდესი მიღწევა იყო.

ის, რასაც სულხან-საბა ორბელიანი XVII საუკუნეში მარტო ვერ გაუმკლავდა, XIX საუკუნის ერთსულოვანი საზოგადოებისათვის მისაღწევი აღმოჩნდა.

სწორედ ილია ჭავჭავაძის საფუძველჩაყრილი, ეროვნული, საზოგადო საქმის შედეგი იყო 1918 წლის 8 თებერვალს, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსება. უნივერსიტეტისა, სადაც ქართველებს ბოლოს და ბოლოს ქართულად უნდა ესწავლათ.

სამწლიანმა დამოუკიდებლობამ საოცარი ეროვნული ძალა აამუშავა. ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი კი ენა იყო.

უნივერსიტეტის დაარსების დღიდან დაიწყო ქართული ტერმინების შეგროვება, მოწეს-რიგება, დარგობრივი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შექმნა. ამ დროიდან ტექნიკური სა-ზოგადოებაც ერთვება ტერმინთშემოქმედებაში. ამ პერიოდს პირობითად ნიკოლამეების ტერმინთშემოქმედებას ვუწოდებ, რადგან ტექნიკური ტერმინოლოგიის ჯგუფში ნიკო ნიკოლამის ორი შვილიც შედიოდა. ისინი საოცარი შემართებითა და თავისუფალი ხალხის სილადით თამამად მსჯელობენ ქართული ძირების გამოყენებაზე ტერმინოლოგიაში, ცდილობენ ე.წ. ინტერნაციონალური ტერმინების გაქართულებას. ქმნიან ქართულ ტერმინებს და თანდათან იბრუნებენ ეროვნულ ცნობიერებას.

1920 წელს გამოდის პირველი ქართული ტექნიკური ლექსიკონი, რომელიც ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის საფუძველი ხდება.

მათ საკმაოდ შეცვალეს და წინ წაიყვანეს ქართული სამეცნიერო ენა, შეძლეს ქართული ენისთვის მთელი რიგი სიტყვების შემატება: *წნევა, დენი, ელდენი, ძრავა, სადენი, ხსნარი, წნე-ბი, ჯერადი, წინაღობა, კუთრი წონა, ფარდობა, ხრახნი, აირი, დენთი...* რთულ სიტყვებში სიტ-ბოს ნაცვლად *თბო* შემოიღეს: *თბოსადგური, თბოტევადობა* და სხვ.

1918-1921 წლების ქართული ტერმინოლოგიური მუშაობა თავისი მიზნებით, პრინციპე-ბით გადაუჭარბებლად შეგვიძლია შევადაროთ ძველ ქართველ მთარგმნელთა მუშაობას. **ახა-ლი ეპოქის გააზრება და მასში ქართული ენის ადგილის დამკვიდრებისათვის თავდადებული ბრძოლა, საყოველთაოდ დამტკიცება იმისა, რომ ქართული ენა „სხვათა სწორია“ და არ არსებობს სიახლე, რომლის გადმოცემას ის ვერ შეძლებს.**

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველთა სამწლიანი დამოუკიდებლობის დროს ქართველმა საზოგადოებამ ნამდვილად გამოამჟღავნა სახელმწიფოებრივი აზროვნება. მათ შეძლეს ერთიანი ქართული სამეცნიერო ენის შექმნა.

მიუხედავად მათი მეცნიერულად დასაბუთებული და ჩამოყალიბებული თვალსაზრი-სისა, მთელი მეოცე საუკუნის ქართული ტერმინთშემოქმედება სხვა გზით წარიმართა. ნიკოლამეების ჯგუფს შეიძლებოდა მეტი ქართული ტერმინი დაემკვიდრებინა, მაგრამ ტერ-მინთშემოქმედების ეს გზა საბოლოოდ უარყო საბჭოთა ეპოქამ.

საბჭოთა ეპოქის ქართული ტერმინოლოგია თავისი ხასიათით, განვითარებით ორ ქვეპერიოდად შეგვიძლია დავყოთ. პირველი პერიოდი ფილიპე მახარაძის ბრძანებებით

მიმდინარეობს და იგი ძირითადად ებრძვის და ანადგურებს სამი წლის განმავლობაში ქართველთა მიერ საფუძველჩაყრილ ეროვნულ სამეცნიერო საქმეებს. მათ შორის დარგობრივ ტერმინოლოგიასაც.

ქართული სიტყვებისთვის გვერდით უცხო ტერმინების მიწერა აუცილებელი ხდება, რადგან საბჭოთა მეცნიერებს საერთო ტერმინებით უნდა ესაუბრათ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს დაწყებული შესანიშნავი ეროვნული საქმის კრიტიკას საბჭოთა ეპოქის პირველ წლებში ვეღარავინ შეაჩერებდა. იწერებოდა სტატიები, რომლებშიც გამოდნენ და დაუფარავად დასცინოდნენ უკვე შექმნილ ქართულ ტერმინებს. ამ დაცინვამ თავისი შედეგი მოიტანა. იმდროინდელი პროპაგანდის კვალი დღესაც შესამჩნევია. დღესაც სასაცილოა, მაგალითად, დენცევიტა, თუმცა რატომ, კარგად არ ვიცით.

მართალია, ფილიპე მახარამის პოლიტიკამ თავისი დალი დაასვა ქართულ ტერმინოლოგიას, მაგრამ მოგვიანებით მაინც სწორად გაგრძელდა მისი განვითარება.

საბჭოთა ეპოქაში მრავალი შესანიშნავი მამულიშვილი და ნამდვილი მეცნიერი მოღვაწეობდა, რომლებიც განსაკუთრებულ მოკრძალებასა და პატივისცემას იმსახურებენ. ასეთ მეცნიერთა რიცხვს მიეკუთვნება ვუკოლ ბერიძე, რომლის მოღვაწეობის გულდასმით შესწავლისას შესანიშნავად ჩანს, თუ როგორ შეიძლება ნამდვილი საქმე აკეთო იდეოლოგიზებულ სახელმწიფოშიც კი. სწორედ საბჭოთა ეპოქაში მოღვაწე მეცნიერებმა შეძლეს ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება, ქართული სამეცნიერო ენის განვითარება. ენის სიწმინდის დაცვაში იყო ჩართული მთელი იმდროინდელი ქართველი საზოგადოება. სწორედ მათ მოახერხეს ქართველთა ეროვნული ცნობიერებისა და ენის გადარჩენა. საბჭოთა პერიოდში შეიქმნა 100-ზე მეტი დარგობრივი ლექსიკონი.

რ. ღამბაშიძის სამეცნიერო მოღვაწეობა ძირითადად ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და დიალექტოლოგიური საკითხების კვლევას ეხება. ტერმინოლოგიის სფეროში მუშაობა რ. ღამბაშიძემ სამი მიმართულებით წარმართა:

1. ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების ისტორიის კვლევა და განვითარების გზების განსაზღვრა;
2. სამეცნიერო ტერმინოლოგიის თეორიულ საკითხებზე მუშაობა, ტერმინოლოგიის დამუშავების ძირითადი ლინგვისტიკურ-მეთოდოლოგიური პრინციპების დადგენა და
3. ტერმინოლოგიის პრაქტიკულ საკითხებზე მუშაობა.

ტერმინოლოგიის ინსტიტუციური კვლევების უპირატესობა ადვილად დამტკიცდება ამ ისტორიის სიღმისეულად შესწავლით. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ 80-იანი წლებიდან როგნედა ღამბაშიძემ დაიწყო სამენოვან ლექსიკონებზე მუშაობა. 1993 წელს მისი რედაქციით დასრულებული ტექნიკური ტერმინოლოგია სამენოვანი უნდა ყოფილიყო, თუმცა, სამწუხაროდ, მისი გამოცემა ამ წლებში ვერ მოხერხდა. სწორედ ამიტომ არის ქართველი საზოგადოება დღესაც 1977 წლის ტექნიკური ტერმინოლოგიის იმედად.

როგორ შეინაჩუნეს ტერმინოლოგიური განყოფილება 90-იან წლებში.წარსულის შეფასებისას ყოველთვის ცხადად ჩანს ყველაფერი და ამიტომაც დღეს გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა ის, რომ ის სამენივანი ლექსიკონები, რომელთა მომზადება 90-იანი წლებიდან დაიწყო, უმნიშვნელოვანესია. საბედნიეროდ, ქართული ტერმინთსაცავიც სწორედ ამ სამენოვან ლექსიკონებს დაეყრდნობა უპირველესად.

დღევანდელ ქართულ ტერმინოლოგიას ყველაზე მეტად ეტყობა ბოლო წლებში საქართველოში განვითარებული მოვლენები, რყევა, გაურკვევლობა, ჩამოუყალიბებლობა.

ბოლო წლებში შესუსტდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფუნქციები, თუმცა მისი ადგილი ჯერ ვერაფერმა დაიკავა. ცხადია და გასაკვირი არც არის, რომ ვერცერთმა ჯგუფმა ცალკე ვერ შეძლო იმის გაკეთება, რასაც მთელი ინსტიტუტი ერთად ქმნიდა. ტერმინოლოგიური თუ, ზოგადად, ლექსიკოგრაფიული სკოლის მუშაობის პრინციპებს ვინც იცნობს, ის ადვილად დამეთანხმება იმაში, რომ ამ ერისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს ძლიერი ინსტიტუტია სჭირდება. ამ ძიების გზაზე ბევრ რამეს ვკარგავთ და იქნებ გამოუსწორებელ შეცდომებსაც ვუშვებთ, სულ რამდენიმე მაგალითის მოყვანაც საკმარისია იმისათვის, რომ ვთქვათ: დღეს ქართველი სამეცნიერო საზოგადოება ქართული ენის უმძიმესმა ვითარებამ ვერ გააერთიანა. ტერმინოლოგია საზოგადო საქმედ ვერ იქცა. ის უფრო კერძო ხასიათისაა.

ტერმინოლოგიის მართვის დაკარგვამ გამოიწვია ის, რომ ხშირად ერთსა და იმავე დარგის ტერმინოლოგიაზე ერთდროულად მუშაობს ორი ჯგუფი. შეუთანხმებელი მუშაობა ადვილი შესამჩნევია საქართველოში, მაგალითად, იუსტიციის სამინისტრო ცალკე ქმნის იურიდიულ ტერმინებს, რომლებსაც თვითონ იყენებს და ყოველგვარი სტანდარტის გარეშე საერთაშორისო ბაზებშიც ათავსებს.

საქართველოში არსებული ყველა ბანკი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ქმნის საკუთარ საბანკო ტერმინოლოგიას, ცხადია, ეს ტერმინები ერთნაირი ვერ იქნება, შესაბამისად, ბანკები სხვადასხვა ტერმინს იყენებენ, განსხვავებულია საბანკო ტერმინები სახელმძღვანელოებშიც.

სახელმძღვანელოში განსხვავებული ტერმინები სხვა დარგებშიცაა. არ არსებობს სტანდარტიზაცია, შესაბამისად, ნემისმიერ ავტორს აქვს უფლება, სურვილისამებრ აარჩიოს ტერმინები.

კოორდინაციის დაკარგვამ გამოიწვია ასევე ის, რომ არა გვაქვს საქართველოში ბოლო წლებში გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონების სრული ნუსხა, შესაძლოა, მათ შორის შესანიშნავი ლექსიკონებიცაა, მაგრამ მათ ვერ აფასებს ქართველი საზოგადოება, აღარ იწერება სამეცნიერო რეზენციები. ამ ყველაფერმა კი უდავოდ შეასუსტა ქართული ტერმინოლოგიის განვითარება. დაიკარგა ტერმინოლოგიური მართვა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სტანდარტებს ემყარებოდა, ცხადია, რომ არსებობდა.

პროექტულმა დაფინანსებამ საგრძნობლად დააზარალა ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში. ამის აღწერა ალბათ მომავლის საქმეა. აქ საბოლოოდ მხოლოდ ერთს ვიტყვით: ევროპული გამოცდილების შესწავლამ დაგვარწმუნა ერთ რამეში: ევროპის მრავალ ქვეყანაში ტერმინოლოგია სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა და მას უშუალოდ აფინანსებს სახელმწიფო. ტერმინოლოგია მხოლოდ პროექტული დაფინანსებით შედეგის მომტანი ვერ იქნება. ჩვენი განყოფილების მიერ მომზადებული ათამდე პროექტი მხოლოდ ტერმინოლოგიას ეხებოდა, თუმცა არცერთი არ დაფინანსდა. შესაბამისად, გვიანდება ტექნიკური ტერმინოლოგიისა თუ სხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონების ახალი რედაქციის მომზადება-გამოცემა.

თანამედროვე ვითარების გათვალისწინებით 2013 წელს დავაყენეთ საკითხი ტერმინოლოგიაზე მომუშავე ქართველი საზოგადოების გასაერთიანებლად დაგვეარსებინა საგანგებო კონფერენცია. მისი უმთავრესი მიზანი ტერმინოლოგიური მუშაობის მართვის აღდგენა იქნებოდა; ეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაწილობრივ გამოგვივიდა, რადგან უკვე მეექვსე წელია ენათმეცნიერების ინსტიტუტში თავს

იყრიან ტერმინოლოგიით დაინტერესებული თუ ტერმინოლოგიაზე მომუშავე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები; კონფერენციაში ყოველ წელს მონაწილეობენ მათემატიკოსები, ინჟინრები, ავიატორები, ექიმები, გეოლოგები, იურისტები, ეკონომისტები, ფილოლოგები. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ გასულ წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე დამსწრე თითქმის ყველა უცხოელმა სტუმარმა საგანგებოდ აღნიშნა ის, თუ როგორი აქტიური ტერმინოლოგიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში.

1. დაარსდა ჟურნალი „ტერმინოლოგიის საკითხები“, რომელსაც ჰყავს სამეცნიერო და სარედაქციო საბჭოები, იბეჭდება ინგლისური რეზიუმეებით, აქვს ტერმინთა და პირთა საძიებლები;
2. დაარსდა საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიის საზოგადოება, რომელიც 2017 წლიდან ევროპის ტერმინოლოგიური საზოგადოების წევრია; გვყავს 50-მდე წევრი, გვაქვს საგანგებო გვერდი და განვავრდობთ ევროპის ქვეყნებთან დაახლოებას;
3. გასულ წელს გაგმართეთ პირველი საერთაშორისო კონფერენცია ტერმინოლოგიაში, რომლის უმთავრესი მიზანი ევროპული გამოცდილების მიღება და ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის უცხოელ მეცნიერთათვის გაცნობა იყო. შედეგმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა, რადგან ევროპელმა ტერმინოლოგებმა საგანგებოდ აღნიშნეს ქართული ტერმინოლოგიის სკოლის მნიშვნელობა და, რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ამახარს გვიჭერენ ქართული ტერმინთსაცავის შექმნაში.

საქართველოში უძველესი სამეცნიერო კვლევითი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების უდიდესი წარმატება და ვიტყვოდი მიღწევა ქართული ტერმინთსაცავია.

ტერმინოლოგიური ბაზების შექმნა ევროპაში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. ბაზების შექმნის უმთავრესი მიზანი იყო ბეჭდური ტერმინოლოგიური ლექსიკონების თავმოყრა-შესწავლა და ეროვნული მრავალდარგოვანი ტერმინოლოგიური ფონდის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობოდა ყველა სახის ნორმატიული ლექსიკონი მომავალში. საბოლოოდ კი ეროვნული ტერმინთბანკი საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებს უერთება, რაც თავისთავად განაპირობებს ამა თუ იმ ენის ნორმატიული ტერმინოლოგიური ლექსიკონების საერთაშორისო მიმოქცევაში თავისუფალ გამოყენებას.

ტერმინოლოგიურ ბაზებს ტერმინთბანკს უწოდებენ ევროპაში და ის უკვე აქვს მრავალ ქვეყანას: საფრანგეთს, შვედეთს, რუმინეთს, ირლანდიას, საბერძნეთს, სლოვაკეთს, ხორვატიას, ესტონეთს და სხვ. საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში ეროვნული ტერმინოლოგიური მასალის განთავსება, ცხადია, მას შემდეგაა შესაძლებელი, რაც დადგინდება ეროვნული ნორმატიული ტერმინოლოგიური შესატყვისები. სამწუხაროდ, საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს

მდიდარი ტერმინოლოგიური მასალა. არსებობს სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონები, მათი გაციფრებისა და თავმოყრის შესაძლებლობა მხოლოდ 2015 წლიდან გახდა შესაძლებელი. შესაბამისად, ნაადრევია საერთაშორისო ტერმინოლოგიურ ბაზებში ქართული მასალის შეტანა, თუმცა გარკვეული ჯგუფები ცდილობენ თვითნებურად, საკუთარი გადაწყვეტილებით მაინც შეიტანონ ქართული ტერმინები. ცხადია, ამ კერძო, შეუთანხმებელი ქმედების შედეგი ვერ იქნება დადებითი და საბოლოოდ იმ ტერმინოლოგიურ სიჭრელეს, რომელიც უკვე არსებობს ქართულ ენაში, გადავითანთ საერთაშორისო ბაზებში.

ქართული ტერმინთსაცავი ვითარდება თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობით შექმნილი აკადემიური ლექსიკონების ბაზაზე. მასში მონაწილეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს ვუკოლ ბერიძის სახელობის ტერმინოლოგიური საზოგადოება.

თანამედროვე ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული სირთულეების დაძლევის შესახებ ქართველ მეცნიერთა შორის ორი განსხვავებული თვალსაზრისია: ერთნი ამტკიცებენ, რომ თანამედროვე ტერმინოლოგიურ მოთხოვნებს არსებული ტერმინები ვერ აკმაყოფილებს და გამოსავალს ინგლისურიდან ტერმინების თარგმანში ან სულაც უთარგმნელად გადმოტანაში ხედავენ. მეორენი ტრადიციებზე დაფუძნებული ტერმინთშემოქმედების გაგრძელების მომხრენი არიან. თანამედროვე ტერმინოგრაფია ყველა ქვეყანაში ტრადიციულს აგრძელებს. თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები ახალ, დამატებით შესაძლებლობებს იძლევა ტერმინოლოგიური ლექსიკონგრაფიის სწორად წარსამართავად. ქართული ტერმინთსაცავი (ტერმინთბანკი, როგორც მას უწოდებენ მრავალ ქვეყანაში) საშუალებას მოგვცემს სრულად ავსახოთ დღემდე არსებული ქართული ტერმინოლოგია და შევუსაბამოთ თანამედროვე სტანდარტებს. ამისათვის უპირველესად მთელი ტერმინოლოგიური მასალის ერთ ბაზაში მოთავსება და მისი შესწავლა-დამუშავებაა აუცილებელი. იგულისხმება თავმოყრა სხვადასხვა დროს გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონებისა: კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ნიადაგმცოდნეობის, ავტოტრაქტორის, აღრიცხვისა და სტატისტიკის, ფიზიკის, ქიმიის, იურიდიული, ელექტროწევის, რადიოელექტრონიკის, ჰიდროტექნიკური, გეოგრაფიის, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, სამო-ტექნიკური, სატყეო-ტექნიკური, ჰიდროტექნიკის, სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის, მეფუტკრეობის, ფრინველთა ნომენკლატურის, მართვის ავტომატიზებული სისტემების, რადიოელექტრონიკის,

საზღვაო, გეოფიზიკის, ავტოტრანსპორტის, სამხედრო, სახელმწიფო მმართველობის, ენერგეტიკის, ეკონომიკისა და დემოგრაფიის, პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის, ბიოლოგიის, ნავთობისა და გაზის, წყლის რესურსების მართვის, ტექნიკური ტერმინოლოგიის (ყველა რედაქცია) და სხვ. (ასეთი ლექსიკონი 100-ზე მეტია); ამათგან უმეტესობა ორენოვანია, რუსულ-ქართული ან ქართულ-რუსული, ნაწილი - სამენოვანი, ინგლი-სურ-რუსულ-ქართული.

ვფიქრობთ, ქართული ტერმინთაზნის შექმნა თანამედროვე ქართველი სამეცნიერო საზოგადოების გარკვეული ვალდებულება და მოვალეობაა. ამ ვალდებულების აღსრულებას კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთობლივი და გონივრული მუშაობით შევძლებთ.

რა ფუნქცია აქვს ახლად შექმნილ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს. ცხადია, მნიშვნელოვანი. უპირველესად მან უნდა შექმნას სწორედ ახალი სტანდარტები, რომლებიც წარმართავს ენობრივ პოლიტიკას ქვეყანაში, აღადგენს ტერმინოლოგიური მუშაობის მართვას. უნდა შეძლოს ამ ვითარების მოგვარება, სამოქმედო გეგმის შემოთავაზება. სხვა შემთხვევაში ქართული ტერმინოლოგია კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. საქართველო უნდა გადავიდეს ტერმინოლოგიის ევროპულ სტანდარტიზაციაზე და უნდა შეძლოს ამ დარგის სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ ქცევა. 90-იანი წლებიდან არსებულ ტერმინოლოგიურ სიჭრელეს ამ წლების განმავლობაში ენის კანონისა და ენის დეპარტამენტის არარსებობით ვხსნიდით და, შესაბამისად, პასუხისმგებლობას სახელმწიფოს ვაკისრებდით, თუმცა დღეს სხვა ვითარებაა. დღეს ამ პასუხისმგებლობა უკვე ენის დეპარტამენტმა უნდა აიღოს.

საქართველოში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელისა და უმართაობის მოსაწესრიგებლად თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლებს საჭიროდ მიგვაჩნია

1. შეიქმნას 5-წლიანი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ქართული ტერმინოლოგიური სკოლის მემკვიდრეობის გაგრძელებას, ინსტიტუციურ კვლევის ტრადიციის შენარჩუნებას და, შეაბამისად, ტერმინოლოგიურ მუშაობის სწრაფ და შედეგიან განვითარებას საქართველოში;

2. ენის სახელმწიფო დეპარტამენტსა და თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს შორის დაიდოს თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც გამოიკვეთება მხარეთა ვალდებულებები და საავტორო უფლებები.

და რითიც დავიწყეთ, ისევ იმავეს ვიტყვით, ქართული ტერმინოლოგიური კვლევების სწორად წარსამართავად აუცილებელია ორი რამ: საკუთარი წარსულის ცოდნა-გაანალიზება და თანამედროვე ევროპის ტერმინოლოგიური გამოცდილება.

ვფიქრობ, არსად ისე არ ჩანს განათლებული საზოგადოების უუნარობა თუ სიყოჩაღე, როგორც ტერმინოლოგიაში. სხვადასხვა საუკუნის ტერმინოლოგიით

შესანიშნავად შეგვიძლია ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოების შეფასება. წლების შემდეგ, ცხადია, ასევე იქნება შესაძლებელი იმის შეფასება, თანამედროვე ქართველმა საზოგადოებამ გაართვა თავი თავის უმთავრეს ამოცანას - შექმნა დარგობრივი ტერმინოლოგია და გაამდიდრა ქართული ენა თუ თავისი უუნარობით გააღარიბა.